კავკასია ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, და უნდა ვისწავლოთ იქ არა მარგო ომის წარმოება, არამედ მორგებაც. მაგრამ, თუ ურთიერთდათმობანი არ იქნება, ეს, ალბათ, ვერ მოხერხდება. დასაწყისისათვის უნდა შევწყვიტოთ ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოა ყველაფერში დამნაშავე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის ინტერესი ჩეჩნეთში ამბოხების ჩახშობაა, ხოლო საქართველოს ინტერესი – თავისი ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა. ამიგომ მოლაპარაკება იმის გარშემო უნდა წარმოებდეს, თუ რა გზით უზრუნველყოთ ეს ინტერესები.

ალექსი ბოგატუროვი,
ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორს მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია.
ჟურნალი „პროფილი“,
31 აგვისტო.

ჯულიკანიშვილ მოსაზრა საქონფლიქტოდ.

სოციოლოგიური გამოკითხვა

ანტიკრიმინალური ოპერაცია პანკისში – სახელმწიფოს განვითარების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი

(პირველი გვერდიდან)

– როგორია რესპონდენტთა დამოკიდებულება პანკისში მიმდინარე ოპერაციის მიმართ?

– გამოკითხულთა 66 პროცენტის განწყობა ამ მოვლენის მიმართ უაღრესად დადებითი ან დადებითია, 23 პროცენტის – ნეიტრალური, 6 პროცენტმა დაბაფიქირა თავისი უარყოფითი განწყობა, 5 პროცენტს კი გაუჭირდა სიტუაციაში გარკვევა. ამასთან, ამ ოპერაციის მოწონაადმდეგთა (5 პროცენტის) ძირითადი არგუმენტია ურთიერთობების შესაძლო გართულება რუსეთთან და, შესაბამისად, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში.

საყურადღებოა, რომ ამ ფონზე რესპონდენტთა მხოლოდ 40 პროცენტს სჯერა, რომ ოპერაციის შემდეგ ეტაპებზე ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელდება კონკრეტული ანტიკრიმინალური მოქმედებები, 60 პროცენტს ასეთ ქმედებებს საერთოდ არ ელის ან ეჭვი ეპარება მათ განხორციელებაში. საყურადღებოა ისიც, რომ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აღინიშნა უკანონო ფორმირებათა საქართველოს ტერიტორიიდან განდევნის ფორმების მიმართ.

– თუ იცის სალხმა, რომ მსოფლიო მხარს გვიჭერს? აქვე გაითხავთ, ქვეყნის პრეზიდენტის პანკისში ჩასვლასთან დაკავშირებით მოსახლეობის განწყობის შესახებაც.

– რესპონდენტთა 94 პროცენტი ინფორმირებულია, რომ თეთრმა სახლმა კიდევ ერთხელ ოფიციალურად გამოხატა მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. ამასთან, თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს სახელმწიფოს თავისი განვითარების კრიტიკულ მომენტებში მუდმივად უნდა ჰქონდეს ამერიკის და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მხარდაჭერის იმედი.

მოგახსენებთ საქართველოს პრეზიდენტის 27 აგვისტოს პანკისში ჩასვლასთან დაკავშირებით მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებაც. გამოკითხულ თბილისელთა 83 პროცენტისთვის ცნობილია ეს ფაქტი. ამასთან, აღინიშნეს ამ გამგზავრების დადებითი მომენტები – „განმტკიცდა უსაფრთხოების რწმენა ადგილობრივ მოსახლეობაში“, „მსოფლიო საზოგადოებრიობა დარწმუნდა, რომ საქართველო და მისი პრეზიდენტი აკონტროლებს სიტუაციას პანკისში“, „თანაგრძნობა გამოუცხადა დაბომბვის დროს დაღუპული მოქალაქის ოჯახს“, აღინიშნა სხვა მომენტებიც.

და ბოლოს, რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, ამ დღეებში პანკისში დაწყებული ოპერაცია შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ახალ, მნიშვნელოვან ეტაპად.

ესაუბრა
პაატა კორინთელი.

სარდალი არ ადასტურებს

რუსეთის 62-ე ახალქალაქის სამზღვრო ბაზის სარდლობაში გუშინ არ დაადასტურეს მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია, რომლითაც ფედერაციის შეიარაღებული ძალების ენერგბანის გადაწყვეტილებით, საქართველოს ტერიტორიიდან რუსი სამხედროების გაყვანა უნდა დაჩქარდეს.

„არანაირი ოფიციალური ინფორმაცია და დირექტივა ამ საკითხთან დაკავშირებით არ დფიქსირებულა“, – განუცხადა პრაიმ-ნიუსს სარდლის მოადგილეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა ანდრეი სტარკოვმა.

საგოფიციალო წინასწარი პატიმრობა

უშიშაშეს სასამართლომ საგოფიციალო წინასწარი პატიმრობა შეუფარდა პანკისის ხეობაში სპეციოპერაციის მიმდინარეობისას რამდენიმე დღის წინათ დაკავებულ არხა ქალედ ოდდალს.

წინასწარი გამოძიებით, ქალედ ოდდალი ერთ-ერთ „საკმაოდ ცნობილ“ გრანსნაციონალურ ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირში იმხილეს, ამასთან, არაბი „ერთ-ერთი ცნობილი ჩეჩენი საველე შეთაურთან“ გარეშოცვდანაა.

ინფორმაციას ეფუძნება პარაიმ-ნიუსს.

კანონმდებლები

საქართველოს პარლამენტის მიმართვა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროსა და ფედერაციის საბჭოსადმი

საქართველოს პარლამენტი უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამს 2002 წლის 23 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის საჰაერო –საპაერო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის ბარბაროსული დაბომბვის გამო, რომლის შედეგადაც დაიღუპა და დაიჭრა მშვიდობიანი მოსახლეობა, ადამიანებმა მიიღეს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა, დაინგრა სახლები და განადგურდა მატერიალური ქონება.

ბოლო წლებში რუსეთის ავიაციამ მრავალჯერ დაბრღვია საქართველოს საპაერო სივრცე და დაბომბა ქვეყნის ტერიტორია, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა. საქართველომ არაერთგზის მოუწოდა რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელისუფლებას, შეეწყვიტებათ აგრესიული მოქმედებები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ცივილიზებულ სახელმწიფოთა მორის ურთიერთობის პრინციპებსა და თავად რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ოფიციალურ განცხადებებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა რუსეთის ოფიციალური წრეების ცალკეული წარმომადგენლების ტენდენციური და აგრესიული განცხადებები. ყოველივე ეს კი იმ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის გამოხატულებაა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს საქართველოს მიმართ – ერთი მხრივ, ფორმალურად აღიარებს მის დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, და, მეორე მხრივ, აგრესიული მოქმედებებით მიზანმიმართულად, პერმანენტულად ხელყოფს სახელმწიფოს სუვერენიტეტს.

საქართველო ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობას, რადგან როგორც ხელისუფლება, ისე თითოეული მოქალაქე ღრმად აცნობიერებს, რომ რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელია. სწორედ ამიგომ, ორი ქვეყნის ურთიერთობა ჩიხში რომ არ შესულიყო, საქართველო ყოველთვის იკავებდა თავს რუსეთის აგრესიულ მოქმედებებსა და განცხადებებზე ადეკვატური რეაგირებისაგან. სამწუხაროდ, მხოლოდ საქართველოს ძალისხმევა ამ მიმართულებით საკმარისი არ აღმოჩნდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ფიზიკური და ვერბალური აგრესია რუსეთის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ბოლო დროს საქართველოში სულ უფრო მეტად იჩრდება უნდობლობა ჩრდილოელი მეზობლის მიმართ, რომლის თვითმფრინავებს მოაქვთ ნგრევა და სიკვდილი. ამასთან, სრულიად გაუგებარია, რა მიზანს ისახავს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიული პოლიგიკა, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, სიკეთეს არ მოუგანს თვით რუსეთს.

ნაცვლად იმისა, რომ 23 აგვისტოს განხორციელებული ბარბაროსული აქტის გამო რუსეთს პასუხისმგებლობა ეგრძნო საქართველოს მიმართ და სამმაგარი გამოეხატა დადუპულთა, დაჭრილთა და დაზარალებულთა ოჯახებისადმი, რუსეთის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ იმ დღეს საქართველოსკენ არც ერთი სამხედრო თვითმფრინავი არ გაფრენილა. ეს განცხადება მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ არსებობს სრულიად უტყუარი მტკიცებულებანი იმისა, რომ დაბომბვას ახორციელებდნენ რუსული თვითმფრინავები: სასწაულებრივად გადარჩენილმა მოსახლეობამ საკუთარი თვალით დაინახა ისინი, დაბომბვას მოპყვა მსხვერპლი და ნგრევა, რუსეთის მხრიდან საქართველოს საპაერო სივრცის დარღვევა დაადასტურეს ეუთოს მეთვალყურეებმა და დაფიქსირებულია ტექნიკური სამუალებებით.

მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა დაგმეს რუსეთის აგრესია. მიუხედავად ამისა, რუსეთის ოფიციალური პირები უარყოფენ თავისი ქვეყნის მონაწილეობას ამ ოპერაციაში. ასეთი ვითარებაში მათ, ალბათ, მოუწევთ იმის აღიარება, რომ რუსეთის ტერიტორიაზე დაფრინავენ სხვა ქვეყნის სამხედრო თვითმფრინავები. საკითხავია, რამდენად იქნება ეს სარწმუნო და მისაღები თავად რუსეთის საზოგადოებისათვის?!

მომხდარი ფაქტისადმი ასეთი დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის ცინიკური ფორმით თავიდან აცილება მიანიშნებს იმას, რომ რუსეთი მსოფლიო ტერორიანების აზრის უგულებელყოფით მომავალშიც აპირებს გააგრძელოს მსგავსი მოქმედებანი.

არსებულ ვითარებაში გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მომხდარი ფაქტის საფუძვლიანი შესწავლა და საკუთარი პოზიციის ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბება.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის პაგიისცემას რუსეთის ფედერაციის მიმართ და მომავალშიც მზად არის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და დიალოგისათვის, თუმცა, ამავე დროს, კატეგორიულად აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია რუსეთთან ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებული პოლიგიკური ურთიერთობის გაგრძელება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და მოქალაქეების უსაფრთხოებას.

რუსეთის ორმაგი სტანდარტის პოლიგიკას მსხვერპლად შეეწირა ათიათასობით საქართველოს მოქალაქე აფხაზეთში, ასიათასობით კი დევნილად იქცა საკუთარ ქვეყანაში. აფხაზეთში კონფლიქტის დროს საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ რუსეთის სამხედრო ქვედანაყოფები, ქალაქების ბომბავდა რუსეთის ავიაცია, რასაც ემაგებოდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის ცინიკური განცხადებები, თითქოს ქართველები რუსეთის სახელმწიფო სიმბოლოებს ახაგაგდნენ საკუთარ თვითმფრინავებს და თავად ბომბავდნენ მოსახლეობას. 1994 წლის ივლისში აფხაზეთში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალების შეყვანის შემდეგ არ შეწყვეტილა ქართველების ეთნიკური წმენდა და ე.წ. უსაფრთხოების ზონაში 1700-ზე მეტი კაცი დაიღუპა. საქართველოს მოსახლეობას დღემდე არ სჯერა, რომ რუსეთი, სიტყვიერ განცხადებათა მიუხედავად, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

რუსეთის არაკონსტრუქციულობის შედეგია გაეროსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის სტატუსის შესახებ შემუშავებული პროექტების განხილვისა და მიღების ბლოკირება. რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უვიზო რეჟიმის შემოღება საქართველოსთან შეუთანხმებლად წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას და, ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსიის მცდელობაა. ფარული ანექსიის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის დაჩქარებული წესით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭება. ამ რეგიონების მოსახლეობის 80 პროცენტგი საქართველოს კანონმდებლობის უგულებელყოფით უკვე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. რუსეთი უხეშად არღვევს ეუთოს 1999 წლის სტამბოლის გადაწყვეტილებას, აჭიანურებს გუდაუთის სამხედრო ბაზის გაყვანის პროცესს და არ აძლევს ეუთოს მეთვალყურეებს მონიტორინგის ჩაგარების საშუალებას, აგრეთვე აჭიანურებს მოლაპარაკებს ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადების შეთანხმების თაობაზე.

მოვლენათა განვითარება იმას ცხადყოფს, რომ 2002 წლის 23 აგვისტოს განხორციელებული ბარბაროსული აქცია არის ლოგიკური გაგრძელება და ნაწილი იმ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთის ფედერაცია წლების განმავლობაში ახორციელებს საქართველოს მიმართ. არსებული ვითარებიდან და საქართველოს სახელმწიფოს უწენესი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას:

– რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით გაჭიანურებული მოლაპარაკების გამო საქართველომ ცალმხრივად დაადგინოს მათი გაყვანის ვადები და მიიღოს შესაბამისი ზომები ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

– რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ განხორციელებული დაბომბვებისა და სხვა აგრესიულ მოქმედებათა გამო სრულიად გაუმართლებელია რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოში ყოფნა და მათ უმოკლეს ვადებში უნდა დატოვონ ქვეყნის ტერიტორია;

– საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აგრესიის არაერთ ფაქტზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მხრიდან აბსოლუტური უმოქმედობის გამო საქართველო უნდა გამოვიდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან.

საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს მზადყოფნას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ნებისმიერ დროს კონსტრუქციული დიალოგით მოაგვაროს საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო დროს შექმნილი პრობლემები და მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლების ყველა შტოს, წინ აღუდგეს ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას, რათა იგი არ იქცეს ამ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური დაძაბულობის, ერთმანეთის მიმართ აგრესიულად განწყობისა და ურთიერთობათა შეწყვეტის საფუძვლად.

თბილისი, 2002 წლის 26 აგვისტო.

საკუთარი სიმძიმის ქვეშ

ევროპელ ტერორისტებზე ნადირობის ნაცვლად ამერიკელები დღეს დასაქმებული არიან მშვიდობის შენარჩუნების დელიკატური მისიით, რათა არ დაუშვან, რომ მათმა მოკავშირეებმა – რუსეთმა და საქართველომ – სრულმასშტაბიანი ომი დაიწყონ კავკასიაში

ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორს მოადგილე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია.

ჟურნალი „პროფილი“, 31 აგვისტო.

ჯულიკანიშვილ მოსაზრა საქონფლიქტოდ.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლ

დაიწყო ახალი სასწავლო წელი

გუშინ, ორ სექტემბერს, პირველი ზარი დაირეკა

მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი და მთელი ქვეყანა სექტემბრის მოლოდინში იყო, ახალი სასწავლო წლის დაწყება კი ყოველთვის თავისებურ მღელვარებასთან არის დაკავშირებული; ასე იყო გუშინაც, 2 სექტემბერს, როცა საქართველოში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. ეს ფოტოსურათებიც გუშინ გადაიღეს ჩვენმა ფოტოკორესპონდენტებმა დედაქალაქის სკოლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწავლის დაწყება ყველგან საგანგებო რიგუალებით დაიწყო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილთ სასწავლო წლის დაწყება მიულოცა რექტორმა როინ მეგრეველმა, ისინი დალოცა საქართველოს პატრიარქმა ილია II.

პირველად მიუსხდნენ მოსწავლის მერხს თბილისის 165-ე განსაკუთრებული დღის რეჟიმის საშეალო სკოლის პირველკლასელები, ხოლო ბარის დრეკვამდე 55-ე სკოლის მოსწავლეებმა ყვავილებით აავსეს დამსახურებული მასწავლებელი ვერა ჯობუჯიშვილი. კლასიკურ გიმნაზიაში კი მეორასედ დაირეკა სექტემბრის ზარი და მოსულთ ეუწყათ, წლეულს გიმნაზია 200 წლისთავის აღსანიშნავად რომ ემზადება და საიუბილეო კომისიას საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უხელმძღვანელებს...

უმაღლესი თუ საშუალო სკოლის მართვა დიდი შემოქმედებითი შრომის ფორმებსა და მეთოდებს მოითხოვს, ვინაიდან დღეს ერთ-ერთ სკოლას ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი.

მოდის სიახლე თავისი რეფორმებით, პრობლემებით, რომლის გადალახვა მასწავლებლობამ უნდა შეძლოს, მას კი სჭირდება დიდი მოთმინება, მონდომება და სიძნელეთა დაძლევის პროცესში აუცილებელი თვისება – საქმის სიყვარული, შეუპოვრობა.

თეიმურ ნიკოლაიშვილი, ლევან და ჯაფარ ლომაძეების ფოტო.

ვაგონის ხიზნების სიცარული

მას მერე, რაც პაგარა ლიახვის ხეობის სოფლები 1989 წლის მიწისძვრამ დაავადა, ბელოთელი ბავშვები დღემდე სახელდახელოდ ამოგაწილ ვაგონებში სწავლობდნენ – სოფლის არასრული საშუალო სკოლა იმ ვაგონებში განთავსდა.

და აი, თერთმეტი წლის შემდეგ ბელოთში ახალი სკოლა აგაშენეს – ქათქათა, თეთრი, კოპწია.

გუშინ იქ გახარებული სოფლელებისა და პედაგოგიური კოლექტივის ურთიერთმილოცვაში, გოგო-ბიჭების ჟრიამულში პირველად დაირეკა ზარი და ბავშვებიც პირველად შემოუსხდნენ ახალი სკოლის მენობაში ახალ სასწავლო მერხებს.

ერედვის თემის გამგეობამ სკოლას დგამ-ავეჯი და ინვენტარი შეუძინა. სასწავლებელს მალე კომპიუტერიც ექნება.

ბელოთის საკრებულო კი მოსწავლეებს მამთარში მუდმივ სითბოს პირდება – შემით უმრუნველყოფილი იქნებიან.

მენ მხოლოდ იბეჯითე, და ისწავლე, პაგარავ!

... დასაწყისისთვის ცოტაა?!

ანუ „კომპანია პრემიერის“ პრემიერები

მშობების მესვეურები და კორუმპირებული გვირგვინოსნები, კომუნიზმის მქადაგებლები და ქუჩაში გამოსული რეფორმაგორები, მომიგინეგე და დარბეული ახალგაზრდები, ხელმოცარული დებიუტანტები და ცინიკოსი მორალისტები, ღარიბი მილიონერები და ღიმილსმოკლეტული ადამიანები... მიმდინარე მნიშვნელოვანი რეალური ფაქტები ან, კიდევ, არც ისე ხელჩასაჭიდი მოვლენები – დაკარგული, ან იქნები, გაყიდული მიწები და აფუთქებული ხიდები, დეენილთა ბაგანლიონი და კომედიანგები... იმდროინდელი ან, თუნდაც, ახლო წარსული ოფიციალური განცხადებები, ჭორები, მითქმა-მოთქმები მოძიებელი, შეკავშირებული და უკომენტაროდ არის ნაჩვენები 101-სერიიან დოკუმენტურ-პუბლიცისტურ ფილმში „საქართველო XX საუკუნე“.

ბუნებრივია, ფილმის ავტორს (კოკა ყანდიაშვილი) და მასზე მომუშავე შემოქმედებით ჯგუფს (მთავარი რეჟისორი ნიკოლოზ დროშდოვი) გასული წლების გაანალიზება და შეფასება მაყურებლისთვის მიუნდვია, თუმცა კი დაუმგკიცებია, რომ ამგვარ ვიზუალურ ცხოვრებისეულ სარკეს ვერც კამთა სრბოლა წალეკავს და ვერც დროის ცვალებადობა დაჩრდილავს.

– რეგბერაა თქვენთან უცხო ენების, კერძოდ, რუსული ენის სწავლების საქმე? – კითხულობდა საქართველოს პრეზიდენტი დედაქალაქის სკოლებში სტუმრობისას ამ ორიოდე დღის წინათ.

წლევანდელი სექტემბერი გორის სკოლებში იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ გაიხსნა ახალი სკოლა-გიმნაზია, ამასთან, პირველად ამ უკანასკნელი თერთმეტი წლის მანძილზე, დაფუძნდა რუსული კლასები.

– თუმცა წელს პირველი მიღება გვქონდა, ყველა კლასი მოლიანად დაკომპლექტდა, ამასთან პირველი, მე-2, მე-5, მე-7 და მე-8 კლასები რუსული და ქართული კლასებია, – გვითხრა სკოლა-გიმნაზიის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მაია თეთრუაშვილმა. მაღლობას ვუხდით საქართველოში რუსეთის საელჩოს, რომელმაც რუსული კლასები მთლიანად მოამარაგა რუსული სახელმძღვანელოებით.

– მეგიც, – განაგრძობს საუბარს რუსეთის საელჩოს წარმომადგენელი, საქართველოში რუს ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი ალა ბეკენეცევა, – ახლო მომავალში რუსეთის საელჩო სკოლა-გიმნაზიის თერთმეტივე ქართულ კლასს რუსული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფს.

სკოლა-გიმნაზიის ეზოში სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი მიგინგი ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის ნიშნით ჩაგარდა. ისმოდა სიმღერები, კითხულობდნენ ლექსებს, პირველკლასელებს საზეიმო ვითარებაში „დედაენის სახელმძღვანელოები დაურიგეს.

სკოლა-გიმნაზიის გახსნას დაესწრო საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში დავით ქოლიანიძე.

გორში, სკოლა-გიმნაზიის გახსნაზე

გურამ ბაშაკიძე, „სრ“ სპ. კორ.

სამართალს ჩვენთან ეძებენ

(პირველი გვერდიდან)

„ავრორა“ მოწინააღმდეგეს აუცილებლად დააჩოქებს

საქმის ვითარება ასეთი გახლავთ: ჯერ კიდევ 1995 წელს ჭავჭავაძის პროსპექტზე №16-ში არსებული №1 სასურსათო მაღაზია-უნივერსამი, თბილისის ქონების მართვის მთავარმა სამმართველომ პირდაპირი მიყიდვის წესით შეასყიდა ამ სავაჭრო ობიექტის 13-კაციანი შრომითი კოლექტივისაგან შემდგარ ამხანაგობას – „ავრორა-95“-ს. ამხანაგობის წევრთა კრების საფუძველზე განაწილდა წილები, ცხადია, პროცენტის სხვადასხვა ოდენობით.

მაღაზია „ავრორა-95“ შეფასდა 24640 დოლარად. ამ თანხის ნახევარი უნდა დაგვეფარა ნაღდი ფულით, მეორე ნახევარი კი ვაუჩერებით. როგორც იტყვიან, ტყავი გავიძრეთ, თანხა შევაგროვეთ. საპრივატიზაციო თანხების შეტანა დაიწყო 1995 წლის 31 ივლისს და დამთავრდა 1995 წლის 5 ოქტომბერს. 16 ოქტომბერს კი ამხანაგობის 13-მა წევრმა მიიღო საკუთრებით მოწმობა.

ერთ უბედურ დღეს მაღაზიას მოევლინა უცნობი, რომელმაც თავი გაგვაცნო კაკო ჭარეთლად, ავსტრიელ ბიზნესმენად. იგი სიტყვიერად, შეპირად დაგვპირდა მაღაზიამი ევრორემონტის გაკეთებას და 10 ათასიდან 20 ათას დოლარამდე ღირებულების საქონლის შემოტანას. თანაც საკუთარი სახსრებით და არა ბანკის პროცენტიანი სესხებით. შეპირი მოლაპარაკებით შევთანხმდით, რომ ყოველივე ამის სამაგიეროდ, სპეციალური კონტრაქტის საფუძველზე, იგი მაღაზიიდან მიიღებდა ფულადი მოგების 45 პროცენტს. მას მაღაზიის სხვა კაპიტალთან, მაგერიალურტექნიკურ ბაზასთან არავითარი საერთო არ ექნებოდა. ამის შემდეგ აკაკი ჭარეთელი თითქოს ავსტრიაში წავიდა ხარჯთაღრიცხვის შესადგენად. დაიკარგა დაახლოებით 2-3 თვე. ამ დროის გასვლის შემდეგ მან წარმოგვიდგინა ხელშეკრულება, რომლის პუნქტები უნდა განგვხორციელებინა წესდების საფუძველზე. ამხანაგობის წევრებმა იკითხეს, თუ რა იყო ეს წესდება. მან გვიპასუხა, – ეს წესდება არაფერია, აი, მაგალითად, თუ ცოლი და ქმარი იჩხუბებენ, ჩვეულებრივ დამორდებიან და მეგი არაფერიო. სწორედ ეს წესდება იქცა ჩვენი განსუთქილების ვაშლად, რომელმაც ჩვეულებრივ დაგვამორა კი არა, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაგვკიდა. აკაკი ჭარეთელს მაღაზიაში რემონტი არ ჩაუტარებია, საქონელი არ შემოუტანია. დახმარების მაგიერ იქით დაიწყო ჩვენი ძარცვა, კერძოდ, ითხოვა მაღაზიის ფართის ნაგურით დათმობა.

ჩვენ მაშინ სრულიად გამუცდელი გახლდით. მოგეხსენებათ, საბაბრო ეკონომიკა იმხანად შემოდიოდა. აკაკი ჭარეთელი და მისი დამქაშები კი ასეთ საქმეში ძალზე გაწურთნილან და ბევრი სხვა დაუწიოკებიათ თაღლითობით, ყალბი დოკუმენტებით. მათი ოცნება ყოფილა მაღაზიის ფართის ხელში ჩაგდება, რისთვისაც იმთავითვე დაუწყიათ საგანგებო მზადებაც და კონკრეტული საქმის კეთებაც. კერძოდ, თურმე ამხანაგობას 1995 წლის 10 ოქტომბერს ჩაუტარებია კრება, რომელზედაც უცხოელი ფიზიკური პირისთვის, – უნგრეთში მცხოვრები ბეგაგა მაცკოსთვის (როგორც ამბობენ იგი აკაკი ჭარეთლის მეუღლეა) დაგვიმია წილის 45 პროცენტი. ეს ყველაფერი მაღაზიის დირექტორის ავადმყოფობის პერიოდში, რომელიც ოფიციალურად დადასტურებულია, მეთითხნა ბეგაგა მაცკოს ქართველმა წარმომადგენელმა ქეთევან კახიძემ. მან თავისი ფარისეველობით კოლექტივის წევრებიც შეაცდინა და ნოგარესიც. კრების ამ ოქმის საყალბე ძალიან აღვილად დასტურდება. ამას დიდი გამჭრიახობა არა სჭირდება. მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებით „ავრორა-95-მა“ 1995 წლის 10 ოქტომბრის კრებაზე მაცკო ბეგაგა ამხანაგობის წევრად მიიღო მაღაზიის გამოსასყიდი ფინანსების უქონლობის გამო“.

ჯერ ერთი, მაღაზიის გამოსასყიდი თანხის შეტანა მრომითმა კოლექტივმა მთლიანად დაამთავრა 1995 წლის 6 ოქტომბერს და 4 დღის შემდეგ ბეგაგა მაცკო „გამოსასყიდად“ ვიღას ესაჭიროებოდა? ეს ხომ ცოცხალი ტყუილია?

მეორე, ბეგაგა მაცკოს წარმომადგენლები ოქმთან ერთად რაღაც ხელწერილებსაც აფრიალებენ. არავითარი „ხელწერილებით“, არავითარი ოქმებით წილის დათმობის წესს არც „მეწარმეობის შესახებ“ კანონი და არც სამოქალაქო კოდექსი არ სცნობს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.3 მუხლის კატეგორიული მოთხოვნით პარტნიორის მიერ წილის დათმობა ხდება მხოლოდ და მხოლოდ სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულებაში კი მითითებული უნდა ყოფილიყო, თუ რის საფასურად დაუთმეს წილის შემძენს ქონება, რითაც მესაბამისი ბაჟი გადაიხდებოდა და და გარიგებაც კანონიერად მხოლოდ ამის მერე ჩაითვლებოდა. ეს ყველაფერი დაადასტურა ამ „ხელწერილების“ დამმოწმებელმა, ქ. თბილისის №19 სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსმა ზ. რაზმაძემ, რომელმაც ოქმი თავადვე გაბაბათილა, ბეგაგა მაცკოს მხარის თაღლითობის გამო.

მესამე, ყველა ვარიანტში სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ეხელმძღვანელათ მხოლოდ ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემული ქონების საკუთრების მოწმობის მონაცემებით. ამ მოწმობაში კი ბეგაგა მაცკო საერთოდ არ არის ნახსენები არც 1995, არც 1996 და არც შემდგომ წლებში. მთავარია, რომ ეს მოწმობა გაცემულია 1995 წლის 16 ოქტომბერს. ე. ი. მაღაზია ამხანაგობის საკუთრებაში გადმოვიდა მხოლოდ 1995 წლის 16 ოქტომბრიდან. მაშ, რომელი „საკუთრების“ გადაცემას ამოწმებდნენ 1995 წლის 10 ოქტომბერს ბეგაგა მაცკოს იურისტი ქ. კახიძე და მისი მეგობარი ნოგარიუსი ზ. რაზმაძე? 10 ოქტომბერს ეს ქონება ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრება გახლდათ და მისი განაწილების უფლება ქონების მართვის სამინისტროს გარეშე არავის არა ჰქონდა. თუ ასეთი მართლა მოხდებოდა 1995 წლის 10 ოქტომბერს, მაშინ განცხადება უნდა წარდგენილიყო ქონების მართვის სამინისტროში. ასეთი რამ არ მომხდარა, ვინაიდან ამხანაგობის წევრებს არავითარი წილები არ გაუყიდიათ და 1995 წლის 10 ოქტომბერს არც არავითარი კრება ჩაუტარებიათ.

მეოთხე, კოლექტიური განცხადება ბეგაგა მაცკოს წევრად მიღების შესახებ არ დევს არცერთ სასამართლოში. პირიქით, შრომითმა კოლექტივმა თავის კანონიერ კრებაზე ბეგაგა მაცკო წევრობიდან გარიცხა, რითაც მის მიმართ პოზიცია ოფიციალურად დაადასტურა.

მეხუთე, სასამართლომ ისე გააგარა რეგისტრაციაში ქ. კახიძის მიერ შედგენილი წესდება, რომ მისთვის არ მოუთხოვია ოფიციალური მინდობილობა ბეგაგა მაცკოსგან „ავრორა-95“-ის საქმეების საწარმოებლად. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობდა. და, ალბათ, არც ახლა არსებობს. წესდებაზე არც თავად ბეგაგა მაცკოს ხელმოწერაა. აღსანიშნავია, რომ ქ. კახიძემ სასამართლოს წარუდგინა 1995 წლის ნოემბერში უნგრეთში გაცემული მინდობილობა, რომელიც საქართველოში არ არის ლეგალიზებული. და რაც ყველაზე მთავარია, ეს მინდობილობაც გაცემულია ფირმა „ჯიმექსის“ საქმის საწარმოებლად და არა „ავრორა-95“-ში მაცკოს ინტერესების დასაცავად.

ასევეა ბეგაგა მაცკოს მიერ გაცემული მინდობილობა მ. გრიგოლიაზე, რომელმაც შემდეგ რწმუნება ვინმე თ. ლაშაბერიძეს გადასცა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცნობით, „საქართველოში გამოსაყენებელი უცხოური ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციას ახორციელებენ საქართველოს საკონსულო სამსახურები. ამ შემთხვევაში საკონსულო სამსახურები უარყოფილია, ამიგომ ბეგაგა მაცკო საერთოდ არ არის ამ დოკუმენტებს საქართველოში ძალა არა აქვთ.

ჩვენ ვთხოვთ ყველას – გამოძიებას, სასამართლოს, პრესას, ტელევიზიას და სხვას: – ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა მოიგანონ დოკუმენტები, სადაც მითითებულია, რომ ამხანაგობის წევრებმა გაყიდეს თავიანთი წილები და საამისოდ აიღეს თანხები და თუ რამეს მოიგანენ, ჩაგარდეს მათი ექსპერგიზა, ვისი დაწერილია, ვისი ხელმოწერილია, რაგომ აიღეს, რისთვის აიღეს. ამ ყალბ ხელწერილებში, არა დედნებში, არამედ ბაგიფეხურ ქსეროასლებში ფიგურირებს ციფრები, – 3000 დოლარი, 9000 დოლარი და ა. შ. ჯერ ერთი, – არც ერთი თანხის მიმღები ამას არ ადასტურებს და მეორეც, – განა წილების ყიდვა ხელწერილებით ხდება? ერთ-ერთ ხელწერილში წერია, რომ ც. ბზიკაძემ 13 ათასი დოლარი ისესხა ბაგონ კაკოსგან. გეკითხებით, – ვინ კაკოსგან? ტყეში გაჭრილი ბღაჭიამეილისგან თუ უნგრეთში გადაკარგული წერეთლისგან. ან რისთვის ისესხა? სადაა დაფიქსირებული, რომ მან დათმო წილი და საამისოდ მიიღო ესა და ეს? არსად! მაშინ რას გვედავებიან?

ბეგაგა მაცკოს საწესდებო კაპიტალში არაფერი შეუტანია. საწესდებო კაპიტალი მთლიანად არის მაღაზია, რომელიც 13-კაციანი შრომითი კოლექტივის საკუთრებაა. კანონის თანახმად მისი ნაგურით გაყოფა არც შეიძლება. მამ რას ითხოვენ? ნუთუ ასე მალე ვიგდებთ აბუჩად საკუთრების მოწმობას, ან ასე მალე ვარდევეთ საკუთრების უფლებას, რომელიც ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს? რა, სამართალიც მორევაზე, ძალადობაზე, ნაცნობ-მეგობრობაზეა?

და საერთოდ, არ გაინტერესებთ, ვინ არის ეს ბეგაგა მაცკო? ეს ემმაკმაც არ იცის, არამც თუ მისმა „ოფიციალურმა ქართველმა წარმომადგენლებმა“. იმ წესდების მეორე გვერდზე, რომელსაც ჩვენ ყველმი გვიჭერენ და ფართს ნაგურით გვთხოვენ, მითითებულია – „მაკაცო ბეგაგა ფიოდორის ასული, – მცხოვრები უნგრეთის რესპუბლიკა, ქ. ბუდაპეშგში, ბერუენის ქ. №2 ბ“. ასევე მაკაცო ფიგურირებს მე-4 გვერდზე, მე-11 გვერდზე. 10 ოქტომბრის იმ საბედისწერო, ვითომდა წილების დათმობის ოქმში, მე-2 გვერდზე უკვე დაფიქსირებულია „მაცუო ბეგაგა ფიოდორის ასული, მცხოვრები უნგრეთში, ქ. ბუდაპეშგში ბერეენის ქ. №2 ბ“. წესდების მე-11 გვერდზე ეს ქუჩა მითითებულია ბრუნვეის ქუჩად. რა ვიფიქროთ? ვინაა ბეგაგა? – მაკაციო, მაცკო თუ მაცუო? რომელ ქუჩაზე ცხოვრობს იგი? – ბერუენის, ბერქენის, თუ ბრუნვეის? ნუთუ არ დაინტერესდა და ასეთი დაბადული ვითარების გამო ლამის 7 წლის მანძილზე ერთხელ მაინც არ ჩამოვიდა საქართველოში და სიტუაციაში არ გაერკვა? იქნება უჩინმაჩინია ეს ბეგაგა მაცკო?

სხვათა მორის, ბეგაგა მაცკოს წარმომადგენლებმა, რომლებიც თავს იწონებენ საქართველოში ინვესტიციების შემოგანით და აქ 25-მდე მაღაზიის ყიდვით, ანალოგიური სცენა გაითამაშეს თბილისში, მაშ „ვამშთანაც“. იქაც დაპპირდნენ მაღაზიის უმაღლეს დონეზე გარემონტებას, საქონლის შემოგანას, დიდი ხელფასების მიცემას. როგორც ჩვენთან, იქაც პირობა არ შეასრულეს და იქაც იქით უჩივლეს, წილის ნაგურით მიღება მოითხოვეს. მათი სარჩელი სასამართლოში არ დაკმაყოფილეს. მამ ჩვენ რაღა დავაშავეთ? ჩვენ რა, მანგები ვართ? ჩვენნე სხვა კანონები მოქმედებს? განა საბაბრო ეკონომიკა იმას ნიშნავს, რომ უცხოელი ინვესტორი მოვიდეს, მოგვაგაყეოს, პირობა თავად დაარღვიოს და შემდეგ ქონების ძალით წართმევა დაგვიპიროს? ასე სად წავა? ვის ხელში უნდა მოხვდეს საქართველოს ქონება, მისი ხალხის საკუთრება?

ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს თბილისის საგამბიეთო სამმართველოს დადგენილება, რომელიც შედგენილია ამ ერთი თვის წინათ, 2002 წლის 29 ივლისს და რომელსაც ხელს აწერენ უფროსი გამომძიებელი ჰ. ბეჩუკური და განყოფილების უფროსი თ. ბალაკაძე. ამ დადგენილებაში სიტყვა-სიტყვით წერია, რომ „1995 წლის 10 ოქტომბერს კოლექტივის კრება არ შემდგარა“, რომ „ეს ოქმი არის ყალბი“. რომ „ბზიკაძის სახელით მესრულებული ხელმოწერა არის ყალბი“, რომ ბეგაგა მაცკოს წარმომადგენლებმა „არ მოახდინეს მაღაზიის გარემონტება-დასაქონლება“, რომ არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, „ქ. კახიძის მიერ (ხელწერილების) დედნები ექსპერგიზის ჩასაგარებლად წარმოდგენილი არ იქნა“, რომ „ავრორა-95“-ის წესდება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ შეადგინა, „მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევითაა დამტკიცებული“, რომ „გარდა ც. ბზიკაძის ხელმოწერისა, კიდევ 7 თანამმრომლის ხელმოწერაა გაყალბებული“, რომ „ბეგაგა მაცკოსათვის წილების დათმობის შესახებ კრება არ ჩაგარებულა და ეს კრების ოქმი არის ყალბი“. ვერ გაგვიგია, მეგი რაღა გინდათ ბაგონო გამომძიებელებო? განა ჩვენი ბრალია, რომ ა. წერეთლისა და ბ. მაცკოსაგან მომხდარის ირგვლივ განმარტებები ვერ მიიღეთ? რომ ქ. კახიძეს დღემდე ხელწერილის დედნები ვერ მოაგანინეთ? რომ ამ ადამიანების ასაავალ-დასაავალს დღემდე ვერ მიაკვლიეთ? რაგომ არ კითხულობთ, ვინაა ეს ხალხი, ასეთი უპაგრონო და უმისამართო, რომელთაც თითქმის 7 წელიწადია სისხლი გაგვიშრეს, ნერვები დაგვაწყვიგეს, ნორმალური კომერციული საქმიანობა ჩაგვიშალეს? სამართლებრივს თუ ვერ ახერხებთ, რაგომ ზნეობრივ შეფასებას მაინც არ აძლევთ ამ ადამიანების მოქმედებას? რაგომ უნდა გადადიოდეს ჩვენს კისერზე გამოძიების უნიათობა და უსუსურობა, რომელსაც ამ დადგენილებაში თავადვე აღიარებთ? არ მოგბეზრდათ ამ საქმის ამდენი შეჩერება, ამდენი გაგრძელება, ამდენი შეწყვეტა, ამდენი განახლება? სადაა თქვენი პრფოესიული თავმოყვარეობა?

ჩვენ ხელაღებით ყველას არ ვადანაშაულებთ. ჩვენ დიდ მადლობას მოვახსენებთ შინაგან საქმეთა მინისგრს კობა ნარჩემამეილს, იუსტიციის მინისგრს როლანდ გილიგაშვილს, რომელთაც ყველა ჩვენს შეკითხვაზე პასუხები გაგვცეს ობიექტურად და ოპერაგიულად. დიდ მადლობას მოვახსენებთ ვაკის რაიონის ყოფილ მაკორიგარ დეპუტაგს ირაკლი ბათიაშვილს, რომელმაც დიდი თანადგომა გაგვიწია. ბევრი რამ, რაც გამოძიებას უნდა გაეკეთებინა, სწორედ მათ გააკეთეს, მაგრამ რა... ეტყობა რეფორმირებულ სასამართლოებს კიდევ შემორჩენენ მოსამართლეები, რომლებიც კვლავ ექცევიან უხილავი ძალების ზეწოლის ქვეშ და უკანონო, დასუსტებულებ გადაწყვეტილებებს იღებენ, ჯერ კიდევ მძლავრობს ნაცნობ-მეგობრობის ინსტიგუგი, რომელიც ამახინჯებს ნებისმიერ კანონსაც და ნორმაგიულ აქტსაც. სხვა რას მივაწეროთ ამდენი გადაწყვეტილება, ამდენი განჩინება, რომლებიც მერე პანგა-პუნგით უქმდება და საქმეს საშველი არ ადგება?

ჩვენი აზრით, გამომძიებლებიც და მოსამართლეებიც ცდილობენ ყურადღება მეორეხარისხოვან პირებზე, კერძოდ, ნოგარიუსებზე გადაიგანონ, ხოლო მერე მთელი ეს საქმე ხანდაზმულობის გამო მეწყვიგონ, ბეგაგა მაცკოს წარმომადგენელები ხელუხლებელად დაგოვონ, რათა ჩვენთან დავა ისევ გაგაგრძელონ. არ გამოვა! ჩვენ ვეძებთ სიმართლეს და ამ სიმართლეს აუცილებლად მოვიპოვებთ, მოვიპოვებთ იგივე სიმართლეთ და არა სიყალბით, თაღლითობით.

ერთხელ „ავრორა-17“-მა ერთი ბალპით მთელი მეფის მონარქია ძირს დასცა. გვეკამს, „ავრორა-95“-იც მჭახედ იქუხებს და მოწინააღმდეგე მხარეს საბოლოოდ დააჩოქებს.

მაშ „ავრორა-95“-ის კოლექტივის სახელით, დირექტორი ციალა ბზიკაძე.

ტელევიზია

ფრანგულად – Premiere, ანუ ქართულად – პირველი.

„კომპანია პრემიერი“ – დამოუკიდებელი გელე-რადიო სარეკლამო კომპანია.

დამფუძნებლები – კოკა ყანდიაშვილი, ირაკლი მოსეშვილი, თეიმურ ყიფშიძე, დავით გოცირიძე, ნათია მეგრელიშვილი, დალი გოგოლაძე.

გენერალური დირექტორი – კოკა ყანდიაშვილი.

ნოვაგორული არეული – მეგაპროექტები სხვადასხვა გელეკომპანიებისათვის.

„კომპანია პრემიერი“ წარმოგიდგენთ

ბასული საუკუნის ისტორიული მაგიანე – „უდღეური მეფისნაცვლები“ თუ „უფერული ცეკვის მდიენები“, ფინანსური კაგკალი-ნაწილენი, გარდა ცნობილი პიროვნებებისა, ჩამოსული იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ზოგიერთი მუსიკოსი სა-

„იმღერე რამე“

რუსა ქვეყანას ქაოსური ორომგრალი განუკურნებელ სნეულებად გადაექცა, როცა გაუთავებელი „ავანგიურული აგონია“ ბუგაფორიულ ეფრილმანებად გარდიესახა, როცა ირგვლივ მერკანგილური მაგერიალიზმი თანდათანობით ფუსს იკიდებს და მას შეფარვეთ ეროვნული ფასეულობები ეწინააღმდეგება, ამ დროს მოსახლეობის სულიერი საბრდო რწმენა და ხელოვნებაა, ზეპირსიტყვიერება და ხალხური მუსიკა. ამიგომაც, როცა ყოველ საღამოს, ყოველი ოჯახის კარს შეაღებს ქართული მელოდია და ქართული სიმღერა, მაშინ ეგ ყველას სიკეთე და ბედნიერება, ღიმილი და სიხარული დაებედება. ასეთნაირად განსაზღვრა, სიურპრიზად შემოგვინახა და ჯადოსნურად მოიპოვა „კომპანია პრემიერმა“ ამერიკული მუსიკალურ-გასართობი შოუ-პროგრამის ჩვენების ექსკლუზიური უფლება, გათანამედროვებული, ქართული რიგმო-ინგონაციებით. „იმღერე რამე“ ერთბამად და ერთხმად ამღერებს მიწვეულ მონაწილეებს – სხვადასხვა დარგის ავტორიგეტებსა თუ ცნობილ მოღვაწეებს თავინი ახალგაზრდა ენერგიული წამყვანის გიორგი გიორგანაშვილის (ბახალა) ჩათვლით.

„პირველად საქართველოში „კომპანია პრემიერმა“ და I არხმა განახორციელეს წარმოუდგენელი პროექტი „იმღერე რამე“, რომელიც ჩვენნაირი ხელმოკლე ქვეყნებისთვის არ არის განკუთვნილი, იგი უუფუნებაა. გადაცემების ჩაწერა სახელმწიფო ტელევიზიის პავილიონში მიმდინარეობდა, მოკუთარ სიმღერას ვერ სცნობს და ვერ მღერის... დარწმუნებული ვარ, რომ მაყურებელს ძალიან მოეწონება. თქვენ წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს ნახევარი წლის გადაცემების ჩაწერა, რას ნიშნავს ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე 250 კაცის წინაშე მუშაობა, მათი ოვაციების შეგრძნება, მათი ემოციებისთვის თვალყურის დევნება, მათი აზრის მოსმენა... „იმღერე რამეს“ 2 სექტემბრიდან I არხის ეთერით, კვირაში ხუთჯერ იხილავს მაყურებელი და დიდი იმედი მაქვს, ისიამოვნებს“, – ამბობს ბაგონი კოკა ყანდიაშვილი.

„რა ხდება“ და „გრძელი ენა“

რა ხდება ირგვლივ, ჩვენს თვალწინ თუ შურგს უკან? რა ვიცით და რა ჯერ კიდევ არ ვიცით, რა გვიგეგთ და რასაც ყური ვერ მოვკარით, იმასაც გვეტყვის კოკა ყანდიაშვილი შვიდ დღეში ერთხელ საავგორო გადაცემაში „რა ხდება“, განვლილი და მიმდინარე კვირის გამორჩეულ „ავტორიტეტებთან და კორიფეებთან“ ერთად, იმ სტუმრებთან, რომლებსაც რაიმე განსაკუთრებული „საქციელი ჩაუდენიათ“ ან „დაუმავებიათ?“ აი მაგალითად, თუ სახელმწიფო მინისგრი წავიდა კოდორის ხეობაში, ან მომღერალმა ჩაწერა ახალი ალბომი, ან კიდევ, გლეხმა აიღო დიდი მოსავალი თუ მეხინკლემ მიაროთვა ხინკალი წამყვანს პირდაპირ ეთერში, ამას და კიდევ ბევრს, ყველაფერს ერთბამად შეეგებოთ მათივე მხრიდან...

მაგრამ ვისაც გრძელი ენა პირში აღარ ეტევა, კბილს ვერ აჭერს და ვერ აჩერეს, ისინი (I არხი, 12 სექტემბრიდან) ღიად იჭორავებენ ცნობილ პიროვნებებზე – ვინ გადავარდნილა პროცენტგიან ვალებში, ვინ ამასხარავებს პაგიმოყვარეობას და ვის აუჭრელებია „ჩინ-მედლებთ“ გულ-მკერდი. ვის დაადგეს კორუფციის გვირგვინი და ვინ არის უსამართლობის რისხვით გამწარებული, ვინ ამგკიეებს – თეორი შავიაო, და ვის მოევლინა მეფისგოფელი... ვინ დაღეჭავს კეთან ერთად სიმღერას და რას იტყვის ბესლიანი კალამი?.. ამ შეკითხვებს უპასუხებს გადაცემა „გრძელი ენა“ რუბრიკებით: მოკლე ენა, ენა ტკბილი, ენა მწარე, ენას კბილი დაჯჩირე, უენოდ.

„კრიმინალური საქართველო“ და XXI საუკუნე

რუსა ქვეყნის პოლიგიკური ხელმძღვანელობა რემოლუციებს ადებს ისეთ განცხადებებს, როგორიცაა – კორუფციასთან ბრძოლა, კონგრაბანდასთან ბრძოლა, ნარკობიზნესთან ბრძოლა... მაშინ საინგერესოა, როგორ შუმაობენ ძალოვანი სგრუქტურები. „კომპანია პრემიერის“ მორიგი პროექტი „კრიმინალური საქართველო“ სწორედ ძალოვნების სარკეს არეკლავს და მათ სახეს დაგვანახებს, ხოლო ქართული სატელევიზიო სერიალი (იანვრიდან I არხის ეთერით) კი ცხოვრებისეულ რეალობას ერთი ოჯახის ყოფით სამყაროს წვრილი ბიზნესით, იმედგაცრუებით, დამარცხებით, მექრთამეობით, წინსვლით, წარმატებით, ბედნიერებით, სიყვარულით – ასოციაციურად გადაგვიშლის თითქმის ყოველი ჩვენგანის ბუგაფორიულ „ქაოსს“.

დაბოლოს, XXI საუკუნეში ყოველივეს, ჩვენ თვალწინ გაწვლილს და მოსალოდნელს, გუშინდელ წარსულს და ხვალინდელ მომავალს ცხადყოფს დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმი „საქართველო XX საუკუნე“.

ეზეზა ვასარაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ელჩი

(პირველი გვერდიდან)

ორიენტირი „მშვიდობიანი კავკასიის“ იდეა

– გერმანიის მთავრობა, ისევე როგორც მთლიანად ევროპა, უკიდურესად დაინტერესებულია მშვიდობიანი კავკასიით და მთლიანად მშვიდობიანი სამყაროს არსებობით. კავკასია ევროპასთან ახლომდებარე რეგიონია, ასე ვთქვათ განაპირა ევროპა და ყველამ იცის, რომ მისი ჯანსაღი განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობებს თვით კონგინენგის სიჯანსაღეს და ამიგომ დასავლეთის დამოკიდებულება და ინტერესი ამ რეგიონისადმი ბუნებრივია. უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ სამხრეთ კავკასია პოსტსაბჭოთა სივრცეა და ცვლილებები, რომლებიც აქ მიმდინარეობს და გულისხმობს საბჭოური სისტემის მიერ დანერგილ ურთიერთობათა აღმოფხვრას, მტკივნეული პროცესია. ამიგომ დასავლეთის და, კერძოდ, გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური ხელშეწყობის პროგრამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს გახლავთ საერთო ევროპული პოლიტიკა და ყურადღება საქართველოს, როგორც საკვანძო ქვეყნის მიმართ, განსაკუთრებულია. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩვენი ქვეყნისთვის გამოყოფილი დახმარებების მოცულობა მეგი, ვიდრე როგორც სომხეთისთვის, ისე აზერბაიჯანისთვის გამოყოფილი დახმარებები.

ერთი საკვანძო, მინდა გითხრათ, რომ ის აზრი, რაც თქვენი შეკითხვის სიღრმეში ძევს, ევროპელი და კერძოდ გერმანული პოლიტიკის სიღრმეშიცაა, ანუ ეს არის ერთიანი, მშვიდობიანი კავკასიის იდეა, რომელიც უკიდურესად სასურველია ყველასთვის, და რომელიც გულისხმობს ჰარმონიულ განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას, და საერთოდ, ნორმალურ საარსებო გარემოს.

სამწუხაროდ, დღეს ხდება კონფლიქტები, ვგულისხმობ აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემებს, ასევე კონფლიქტურ სიტუაციას აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. აქ მართალია საომარი მოქმედება აღარ მიმდინარეობს, მაგრამ ფსიქოლოგიურად ეს ორი ქვეყანა მაინც საომარ მდგომარეობაშია. ამ მიმართულებით გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს კონკრეტული, სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. პირადად მე ვარ მონაწილე პირველი შეხვედრისა, რომელიც ლუქსემბურგში გერმანიის ელჩის რეზიდენციაში გაიმართა, და რომელზეც აზერბაიჯანის და სომხეთის პრეზიდენგები და ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისგრები შეკრებინენ. ამ შეხვედრას საქართველოს პრეზიდენგი ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისგრი ირაკლი მენაღარიშვილი დაესწრნენ. რაკი საქართველო ნეიტრალური მხარე იყო, ჩვენი ინიციაგივით გაიმართა ეს შეხვედრა და მაშინდელმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისგრმა ბაგერმა კინკელმა ამ ორი ქვეყნის დაახლოების პირველი ცდიდან მოყოლებული, ყველა დონეზე (მინისკის ჯგუფი, ეუთო-ს ჯგუფი) დასვა საკითხი სომხეთ-აზერბაიჯანის და, კერძოდ, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარების შესახებ. თუმცა ბევრი რამ გაკეთდა და ამ მიმართულებით მუშაობა არ შეწყვეტილა, მაგრამ ეფექტიანი წინსვლა მაინც არ არის და, როგორც ჩანს, წინსვლისთვის, ალბათ, მეგი კეთილი ნებაა საჭირო. ერთი სიტყვით – არსებობს საკუთრივ ასეთი გერმანული ინიციაგივა, „კავკასიური ინიციაგივა“, და სწორედ ეს უდევს, ვიმეორებ, თქვენს მიერ დასმულ შეკითხვას საფუძვლად. ეს მათაც, ანუ გერმანელებსაც აწუხებთ, და რაც, ჩემი აზრით, საერთო საგკეთილია, ე. ი. რეგიონის პრობლემებისადმი ჩვენი მიდგომა იდენტურია.

გერმანული პროგრამა დახმარების მთელ სპექტრს მოიცავს

– გერმანიის მთავრობა ასევე ცდილობს ხორცი შეასხას ახალ იდეას, რომელიც ცნობილია „კავკასიური ეკონომიკური ინიციაგივის“ სახელით და რომელშიც ბუნებრივია, ჩვენც ჩართული ვართ. ჯერჯერობით აზერბაიჯანი თავს იკავებს ამ პროექგში მონაწილეობისაგან, სომხეთი კი უფრო მოქნილი აღმოჩნდა ამ მხრივ და ცდილობს ეს დახმარება მიიღოს. ეს სერიოზული ინიციაგივაა და, მემიძლია გითხრათ, რომ ლაპარაკია 52-53 მილიონ ევროზე, რომელიც მიზნობრივად დახარჯება კავკასიური ეკონომიკური სივრცის გაჯანსაღებისათვის. უკვე მიმდინარეობს ინგენსიური მუშაობა ამ პროექგზე, რომლის ერთადერთი და უმთავრესი მიზანია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებში ეკონომიკური დაძაბულობის შენელების საკითხების მოგვარება.

ერთ-ერთი სფერო, რომელიც შეიძლება ამ პროექგის ფარგლებში პრიორიგეგულად მივიჩნიოთ, ეს არის კვების მრეწველობა, მით უმეგეს, რომ ამ დარგში პრობლემები სამივე კავკასიური ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. აქ ძირითადად ლაპარაკია იმაზე, რომ ადგილობრივი კვების მრეწველობის პროდუქციას სასაქონლო სახე მიეცეს, რათა ის კონკურენგუნარიანი გახდეს და თავის გასაღების ბაზარი მონაწილეობისაგან, სომხეთი კი უფრო მოქნილი აღმოჩნდა ამ მხრივ და ცდილობს ეს დახმარება მიიღოს. ეს სერიოზული ინიციაგივაა და, მემიძლია გითხრათ, რომ ლაპარაკია 52-53 მილიონ ევროზე, რომელიც მიზნობრივად დახარჯება კავკასიური ეკონომიკური სივრცის გაჯანსაღებისათვის. უკვე მიმდინარეობს ინგენსიური მუშაობა ამ პროექგზე, რომლის ერთადერთი და უმთავრესი მიზანია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტურ რეგიონებში ეკონომიკური დაძაბულობის შენელების საკითხების მოგვარება.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ამ პროექგის ფარგლებში პრიორიგეგულად მივიჩნიოთ, ეს არის ტრანსპორტი. ეს ერთ-ერთი ფაქტორია, ეს ერთ-ერთი ფაქტორია, ეს ერთ-ერთი ფაქტორია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 212, სამშაბათი, 3 სექტემბერი, 2002 წელი.

ახალი ნომერი

მათთვის, ვინც „ომეგას“ კითხულობს

„ეს საწყალი, ლოგინად ჩავარდნილი, დასნეულებული ჩვენი შვობელი ცრემლიანი თვალებით მოგვმზერია და ელოდება, წყალს როდის მივაწვდით, წამალს როდის მივუტანთ... მისი წამალი და უკვდავების წყალი კი პირველი სექტემბრის აკრიბამულებული დილაა, ბავშვებით სავსე ქალაქის ქუჩები და სოფლის ორდობეებია, სკოლის პირველი მარია, მასწავლებლის ალერსიანი, შვობლიური სიყვარულით გაცივსკროვნებული დიმილია...“ — წერია სამოგბდოებრივ ჟურნალ „ომეგას“ ახალი ნომრის (35) მოწინაგვეი, — მომცრო, მაგრამ ძალზე ტევადი და ტკბილეული რეალობის ამსახველ პუბლიკაციაში სათაურით „მივუტანთო წამალი დედას“.

მართა ბაღალნიოვაძის სტატია „მათთვის, ვინც „მტკვარს“ ეწევა, დაინტერესებს არა მხოლოდ „მტკვრის“ მწეველებს, თუმცა, „როგორც უცხოელი ექსპერტები ამტკიცებენ, — „ოჯთ“-ს დარი ფაბრიკა არათუ საქართველოში, ამიერკავკასიაშიც არ არსებობს. აი, როცა ჩვენი ძველი, ნაცადი პარტნიორება — „ფილიპ-მორისის“ წარმომადგენლები ჩამოვიდნენ ამ ფაბრიკის დასათვალიერებლად, აღფრთოვანებასთან ერთად, უნიკალური ხელმეკრულების დადების იღუმ მემოგვიეშდა ხანა, რომლის მიხედვითაც ძალიან მალე „ოჯთ“ აქ, საქართველოში აწარმოებს „ფილიპ-მორისის“ ფირმის სიგარეტს შესაბამისი წარწერით — დამზადებულია „ოჯთ“-ს მიერ. ეს კი უკვე პირველი დიდი, სერიოზული გამარჯვების საწინდარია...“ „ამ ყველაფერს წინ უსწრებდა „ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის, პარლამენტარ მაშა ოქუაშვილისთვის შრომგბეგადი, უცხოელ სპეციალისტებთან ურთიერთობის დამბაღული, ფიქრთან, გაბსჯათ, მეუმცდარი გადაწყვეტილების მიღების რთული პროცესი და, რაც მთავარია, სურვილი, „ომეგა თეგისა“ და „ომეგა მოტორსის“ დარად, თამბაქოს ფაბრიკაც უნიკალური ყოფილიყო მთელ ამიერკავკასიაში“.

„აკეი, რომელიც უმაღლესი ძალაუფლებისკენ ილტვის, ნაკლებად მრუნავს სახელმწიფო სარგებელზე, ვიდრე თავის თავზე“, — მარლო მონტეზესეიეს ეს ფრაზა აქვს წამძღვარებული ეთიკრაფად ჟურნალ ეჯაქ შუბითიძისა და გოგი ცხოვრებაძის საინტერესო წერილს „პოლიგიკური ლიდერის იმიჯი“.

დიახ, ელეონორა დუმე დიდი ხელოვანი იყო, უდიდესი თეატრალური შემოქმედი. მთელი მისი სხეული მეტყველებდა, მთელი თავისი არსებით იგი გადმოგვეცემდა სიხარულს ან მწუხარებას. მახსოვს, როცა პირველად ხელში ჩამოვარდა დ' ანუნციოს წიგნი „ცკვდარი ქალაქი“, მე მეწყინა ავგორის ეულგარული მიძღვნა — „ელეონორა დუმეს მმვენიერ ხელებს“. მაგრამ როცა ვნახე ეს ხელები, მე მიეხედი ამ მიძღვნის დიდ მნიშვნელობას“, — კოტე მარჯანიშვილი. „ელეონორა დუმე — გაბრიელე დ' ანუნციოს მუზა“ — თვით ეს სათაური მეტყველებს მერი გიგვინიძის მთამბეჭდავი ნარკვევის პათოსზე, რომელსაც წინ უსწრებს კოტე მარჯანიშვილის ზემოთ მოყვანილი შეფასება. ცხადია, სტატია დაბეჭდილია „ომეგას“ მუდმივი რუბრიკით „ელვარე და ლომფერი“.

აჭარის მთიანეთში შუახევის რაიონში უმოგზაურნიათ **ივანე ამირხანაშვილსა** და **შურმან ბაჩუას**. ეს მოგზაურობაა აღწერილი „ფოტომატიანეში“ სათაურით „ჭვანისციხის სევდა“. აჭარიდან დუმეთის რაიონში ხადის ხეობამდე გადაგანაცვლებთ **დავით კოკლაშვილის** სტატია და ფოტოები. ლისის ტბის დღეკანდელობას კი **ამირან არაბული** აღწერს რუბრიკაში „ბუნება მბრძანებელია“. მართლაც, „ერთ დროს სიმშვიდის მომფერი და ახლა კატასტროფის პირას მიმდგარი ულამაზესი ტბა დახმარებას ითხოვს. დადგა კრიტიკული ეტაპი მის გადარჩენაზე ინტენსიური ფიქრისა, გარჯისა და პრაქტიკული ქმედებისა“...

„ომეგას“ ახალ ნომერში კვლავ გამოჩნდა რუბრიკა „ხატი ქალაქისა“, ამჯერად, **როსტომ ზხვიძის** შესანიშნავი ნარკვევით „პრაღა შვიდი დღით“ (დღიურის ფურცლებიდან). მკითხველს მიიბაძავ ავტორის ხედვა, აღწერის მანერა, მეტყველი პარალელები, რომ არაფერი ეთქვათ გადმოცემის ძალზე დახვეწილ კუნტრუშებ. ეს მხოლოდ ქალაქის აღწერა არ არის, ეს მის ისტორიულ ხვეულებში აბრობრივი წიაღსვლებით გაჯერებული პუბლიკაციაა. ამიგომაც არის ნარკვევი ღამბი და საინტერესო. მის გაგრძელებას „ომეგას“ მომდევნო ნომრშიც დაეთმობა ადგილი.

რუბრიკით „ჩვენი თანამედროვე“ გამოქვეყნებულია **მაია ჯალიაშვილის** საუბარი ტელეკომპანია „იბერიის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსთან, „შედამ მოუცელელ და საქმით გართულ“ ლუბა ელიაშვილთან. ინტერვიუს სათაურად სწორედ მისი სიტყვებია გამოტანილი „ახალი საქმე მიყვარს და მიჩიდავს“ (ფოტოები **ნათელა გრიგალაშვილის** და **ირაკლი ბლუაშვილისა**).

ააყვიო საზოგადოება „საკანს“ მთავარი მეღვინე და დირექტორი ტექნოლოგიის დარგში თემო კორგანა ქვეყნა **ნუგბარ შაგაიძის** ნარკვევის „ნუ დაპკარგავ ძველსა გბასა“ მთავარ გმირად.

